პარასკევი, 1918 წ. აგვისტოს 30 № 160

წელიწადი მეორე

პარასკევი, 1918 წ. აგვისტოს 30 № 160

ფასი 40 კაპ.

# ჩვენი ქვეყანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

**რედაქცია.**

...ზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში ...ლი უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს და მის შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას არ კის[ი]რულობს.

**რედაქცია ღიაა:** დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

**კანტორა.**

**გაზეთის ფასი:** ერთი წლით 50 მან. 6 თვით 27 მან. 3 თვით 13 მან. 50 კაპ. ერთი თვით (მხოლოდ ქუთაისში) 4 მან. 50 კაპ. **განცხადების ფასი:** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 50 კ., უკანასკნელზე 40 კ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. **სამგლოვიარო განცხადება:** თითოჯერ არა უმეტეს სამი გამომცხადებისა 1 საათამდე 10 მ., 1 საათს შემდეგ 13 მან.

**კანტორა ღიაა:** დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

**მისამართი:** ქუთაისი, თბილისის ქ., ფირხაძის ს. **ფოსტის ადრესი:** Кутаисъ, поч, ящикъ № 39. **ტელეფონი** № 76.

27 აგვისტოს, 5 საათზე ნაშუადღევს უეცრათ გარდაიცვალა ნოტარიუსი

**ივლიანე გრიგოლის ძე ანჯაფარიძე,**

რასაც ღრმა მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და მეგობართ ქვრივი მარიამ გიორგის ასული შვილებით. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე (ახალი სტილით). ცხედრის გამოსვენება ბინიდათ საფიჩხიის სასაფლაოზე მოხდება პარასკევს, 30 აგვისტოს, 5 საათ. საღამოს (ახ. სტ) 2—2

27 აგვისტოს, 5 საათზე ნაშუადღევს უეცრათ მოსწყდა ცხოვრებას

**ივლიანე გრიგოლის ძე ანჯაფარიძე,**

რასაც ღრმა მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და მეგობართ ძმა მისი კონსტანტინე გრიგოლის ძე ანჯაფარიძე. პანაშვიდი ყოველ დღე საკუთარ ბინაზე საღამოს 7 საათზე, ცხედრის საფიჩხიის სასაფლაოზე გასვენება დანიშნულია 5 საათზე, (ახალი დროით), პარასკევს 30 აგვისტოს. 2—2

27 აგვისტოს, 5 საათზე ნაშუადღევს უეცრათ გარდაიცვალა ნოტარიუსი

**ივლიანე გრიგოლის ძე ანჯაფარიძე,**

რასაც მწუხარებით აუწყებს ქართველ საზოგადოებას მიცვალებულის კანტორის მოსამსახურეები. პანაშვიდი ყოველ დღე, საკუთარ ბინაზე საღამოს 7 საათზე. დაკრძალვა მოხდება 30 აგვისტოს. ცხედარს გამოასვენებენ საკუთარი ბინიდან, თფილისის ქუჩ., საფიჩხიის სასაფლაოზე. 2—2

27 აგვისტოს, ნაშუადღევის 5 საათზე, უეცრათ გარდაიცვალა ნოტარიუსი

**ივლიანე გრიგოლის ძე ანჯაფარიძე,**

რასაც ღრმა მწუხარებით აუწყებს ქართველ საზოგადოებას ქუთაისის საურთიერთო საზოგადოების საბჭო, გამგეობა და მოსამსახურე პირნი. პანაშვიდი ყოველ დღე საკუთარ ბინაზე საღამოს შვიდ საათზე. დაკრძალვა მოხდება 30 აგვისტოს. ცხედარს გამოასვენებენ საკუთარი ბინიდან, თფილისის ქუჩა, საფიჩხიის სასაფლაოზე. 1—1

ღრმათ დამწუხრებულნი ბიძაშვილი ანტონ გიორგის ძე ჩხეიძე და ძმისწულები ანდრია, იოსები, მიხეილ, დანიელ, ვლადიმერ, სოფიო ჩხეიძეები და მატრონა გეგელაშვილისა აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს გარდაცვალებას ძვირფასი

**პავლე მათეს ძე ჩხეიძისას**

რომლის დაკრძალვა მოხდება კვირას, 1 ენკენისთვეს ნაშუადღევის 4 საათზე, საფიჩხიის სასაფლაოზე. პანაშვიდი ყოველ დღე 6 ნახ. საათზე საღამოთი, ჭავჭავაძის ქუჩა № 26 საკუთარ სახლში. 1—1

**იყიდება** სამხატვრო ყუთი ნიგვზის ხისაგან გაკეთებული. საღებავები, კისტები და სხვა სამხატვრო მოწყობილობები. იკითხეთ „ჩვ. ქვეყნის“ რედაქციაში.

**Продается** ящик для художника из орѣховаго дерева, краски, кисти и различныя художественныя принадлежности, справляться в редакцію газеты „Чвени Квекана“.

**კბილის ექიმები**

**მ. ი. ახვლედიანი** და

**ო. დ. პროშლიაკოვა**

ღებულობენ ავადმყოფებს ყოველ დღე, დილის 9 ს.—2 ს და საღამოს 5 ს.—7 ..

მისამართი: ქარვასლის ქ. მურადოვის სახლი, კლ. გიმნაზიის პირდაპირ. თვ. 31

**ექიმი**

**გ. ა. ეზიკაშვილი**

მკურნალობს შინაგან და ბავშთა სნეულებიან ავადმყოფთ დილის 9 საათ. 11 საათამდე და საღამოს 6-დან 8-დე. თფილისის ქუჩა, საკუთარი სახლი (კომერციულ სასწავლებლის პირდაპირ). თ.

## დიპლომატიური კურიერი

საქართველოს საელჩოს რუსეთის ფედერატიულ სოციალისტურ რესპუბ. წინაშე ბრუნდება რუსეთში და მით აცხადებს, რომ ღებულობს წერილებს გადასაცემათ რუსეთში მცხოვრებ ქართველთათვის და ვისაც სურს შემოიტანოს გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორაში. 1 ენკენისთვემდის. 3—1

## უნდა ითქვას!

ჩვენს მკითხველებს მოეხსენებათ, რომ 26 მაისამდე ამაწლისა, ესე იგი, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღემდე,—ჩვენებური შინაჯუჯა და ყოვლად უმეცარ სოციალდემოკრატებს საქართველოს ხსენებაზე ბნედა მოსდიოდათ და საქართველოს წარსულსა და აწმყოს საჯაროდ ზიზღით იხსენიებდენ.

არ ყოფილა არც ერთი მიტინგი, არც ერთი ყრილობა სოფლად თუ ქალაქად, რომ არ დაეგმოთ მამულიშვილობა, ქართული აზრი და განზრახვა. „დემოკრატებო!—ასწავლიდა ერთი მათი პროპაგანდისტი 1905 წ. საჩინოს რაიონის გლეხებს—დღეის შემდეგ ჩვენ უნდა დავივიწყოთ ენა ვილაც ილიებისა და აკაკიებისა. მათ გარყვნეს დემოკრატია, მათ ფეხქვეშ გათელეს ხალხი. ჩვენ უნდა დავსწვათ მათი ნაწერები, მათი წიგნები. ზიზღი მათ მიმდევრებს, გაუმარჯოს რუსეთის სოციალ დემოკრატიას. *) რა ახალი ენაც ასწავლეს ბატონმა სოციალ დემოკრატებმა ჩვენ გლეხებს, ეს დღეს ნათლადა სჩანს. ეს ენა გახლავთ ენა მტრობისა და შურისა, ეს ენა გახლავთ ენა კაცთმოძულეობისა და დაუნდობლობისა, ეს ენა გახლავთ ენა გაუტანლობისა და გამხეცებისა, ეს ენა გახლავთ სამშობლოს უარყოფისა და მის ნამდვილ ქირისუფალთა დევნა-წამებისა!..

ამ ენამ გადააგდო ქართველი მშრომელი სამართლიანობის გზიდან, ამ ენამ დაუხშო ქართველ მშრომელს, ქართველ კაცს, გრძნობა ჭეშმარიტის ერთობისა, ამ ენამ დაავიწყა მას სჯული და ადათი, ამ ენამ უარაყოფინა მეზობლობა და ნათელ-მირონობა, ამ ენამ შექმნა ჩვენებური „ბოლშევიზმი,“ ამ ენამ დასცა ბათუმი, ამ ენამ დაგვაკარგვინა ახალციხე-ახალ-ქალაქი. ამ ენამ დაახევინა ქართველ კაცს ქართული დროშები, ამ ენამ დაამხობინა დედის ძუძუ, ამ ენამ მოშხამა მთელი საქართველო. ესევე ენა დღესაც შეურაცყოფას აყენებს იმათ, ვინც მთელის თავისის არსებობით სცდილობს ქართველი ხალხის გამოფხიზლებას, ქართველი ერის შეკონვას ერთ დაიგულად, ქართველი კაცის გამობრუნებას მაცდურებისა და მისთვისვე მავნებელ გზიდან.

წაიკითხეთ „სოციალისტების“ გამოცემანი, ყური დაუგდეთ მათ კადნიერებას საარჩევნო მიტინგებზე, ჩაუფიქრდით მათ მოქმედება-მოპყრობას იმავე ხალხისადმი და თქვენ სიმწარისაგან თმებს დაიგლეჯთ, სიკვდილს მოინატრებთ!...

აი, ასეთი ხალხი გამომდგარა და ედემ-მიწასთან გვასწორებს, ასეთი ხალხი გვიკიჟინებს ჩვენ მოღალატეობას, ასეთი ხალხი გვარიგებს ჭკუას და გვაბეზღებს თავისნიერვე გაოგნებულ და გაბოროტებულ მასის წინაშე!

სად არის აქ ღმერთი და სამართალი, სად არის აქ სულ უბრალო ეთიკა და ზრდილობა, სად არის აქ ადამიანობა და განკითხვა?

ნუ თუ მართლა კაცი აღარ არის საქართველოში? ნუ თუ ბოლო არ უნდა მოეღოს განგაშს უმეცრებისასა და უტიფრობისას?! ახლა ხომ საქართველო ვითომდა თავისუფალია! ახლა ხომ ჩვენ ჩვენსავე თავს ვეკუთვნით! ახლა ხომ აღსრულდა ოცნება ჩვენთა წინაპართა!...

მაგრამ, ვაი ის არის, რომ კაი მთქმელს გამგონე აღარა ჰყავს და გულწრფელობას გასავალი აღარა აქვს!...

იმის მაგივრად, რომ ყველა, დიდი თუ პატარა, ერთს ფიქრს ვფიქრობდეთ, იმის მაგივრად, რომ მთელის ჩვენის არსებით ხელი შევუწყოთ ქართველი ხალხის გაერთიანებას, დღესაც გავიძახით: ჰკა, მოჰკალი, შეჰკარ, შემუსრეო!

ვინ და რათა?..

რა აქვავია შინაურთა და გარეულთაგან ხნეობრივათა და გონებრივად გაფცქვნილ საქართველოს?

იმის მაგივრად, რომ აღვიაროთ ჩვენი შეცდომანი, დავინახოთ, რომ არც ერთი დაპირება დღევანდელი ბატონებისა არ ასრულდა, იმის ნაცვლად, რომ დაუკვირდეთ ჩვენს დღევანდელ ყოფნას და ანგარიში გავუწიოთ საქართველოს რეალურ პირობებს, გავიძახით: „ძირ ძოლა ბურჟუებს, ბრძოლა ნასწავლებს, ბრძოლა ნაციონალისტებს, ბრძოლა მარჯვნივ და მარცხნივ!“ მერე სადა გვყავს ბურჟუები, სადა გვყავს ნასწავლები, სადა გვყავს ჭეშმარიტი ნაციონალისტები, სადა გვყავს ნამდვილი მემარჯვენენი, ან ნამდვილი მემარცხენენი!..

*) ეს პროპაგანდისტი გახლდათ განსვენებული გიორგი გელეიშვილი. ამ სიტყვის გამგონე ბევრია დღესაც ცოცხალი. **ავტორი.**

# დ ღ ე ს.

### წერილები.

ია ეკალაძე—უნდა ითქვას.
L. —ქართული ძალა.
ირ-დი—ოსეთის საკითხი.
ალ. თორაძე—მარქსისტული აზროვნების მეთოდი (ფელეტონი).
პრესა.
ისკანდერ-ბეგ. —„კონტრრევოლუცია“—პატარა ფელეტონი.

### ცნობები.

ტყიბულის მაღაროებში მუშების გაფიცვა უკვე დასრულდა. მუშების მოთხოვნილება დააკმაყოფილეს. ცაგერში მთავრობის ჯარს თავს დაესხა ბოლშევიკთა ბრბო. მოგვიკლეს 1 კაცი, დაგვიჭრეს 1. ბრბო ჯარმა უკვე გაფანტა. რუსეთის უნივერსიტეტებში სწავლის ქირა გაუქმებულია. უნივერსიტეტებში ყველას ღებულობენ მიუხედავათ ცოდნისა.

---

ესენი რო გვყავდეს, განა გაიეფდებოდა ჩვენში უმეცრება და გაბატონდებოდა უსამართლობა?!..

ჩვენ, ყველანი, დღევანდელამდე მონები ვიყოთ, მონებს უთვითნებო და საპყარი, მონები მატყუარა და მხდალები, მონები გაუმაძღარი და მტირალნი, მონები საზიზღარი და საძაგელნი და...

ეს იქიდან სჩანს, რომ დღეს,—საქართველოს ამ აღდგომის დღესაც კი—ვერ დაგვივიწყნია პირადი, თუ პარტიული ინტერესები და ყოვლად დასაგმობ სპეკულიანტებად გადავქცეულვართ სოციალისტი თუ არა სოციალისტი, ნასწავლი თუ უსწავლი, მუშა თუ ხელოსანი!...

მიმოიხედეთ თქვენს გარშემო და დაინახეთ, რა ხდება? იმის მაგივრად, რომ ვილოცვიდეთ სამშობლოსა ჩვენსა და ვლაღადებდეთ განთავისუფლებასა ჩვენსა, გამოვმდგარვართ და გავყვირით:—„დღეს არის ფულის მოგების დრო, მარტო გიჟი არ ისარგებლებსო!“ და სარგებლობს ურცხვად „სოციალისტი“, სარგებლობს ჩარჩი, სარგებლობს მასწავლებელი, სარგებლობს ვაჭარი, სარგებლობს ყველა, გარდა „სულელისა და გულუბრყვილოსი“.

ცხოვრება ჯოჯოხეთად გადავაქციეთ და თავისუფლება თავხედობათ!...

სად გაჰქრა, ბატონო „სოციალისტებო“ თქვენი ნამოძღვრალი? სად არის თქვენგან აღთქმული ერთობა და ძმობა?

არც იქნება, ვინაიდგან თქვენ იქადაგეთ თავისთავად ჭკარგი აზრები ყალბად და ისარგებლეთ მონებით თქვენი თავის განსადიდებლად!...

ერთობას ჰქმნის მხოლოდ ერის ყველა კლასთა თანამშრომლობა, ერთობასა ჰქმნის სწავლა და ცოდნა, ერთობასა ჰქმნის პატიოსნება და სამართლიანობა, ერთობასა ჰქმნის შეგნება და მოვალეობა, ერთობასა ჰქმნის სიყვარული სამშობლოისა და იდეა თავგანწირვისა ქვეყნისათვის, მამულისათვის და ეს კი დღევანდელამდე ჩვენ არა გვქონია!...

ჩვენ უნდა ამოვხიოთ ჩვენის ისტორიის ფურცლებიდან უკანასკნელი ასი წლის უბედურება, ჩვენ უნდა ამოვშალოთ ჩვენის არსებიდან, ჩვენის მეხსიერებიდან რუსეთის მიერ დათესილი უმგვანობა, ჩვენ ქვენდა დავივიწყოთ ჩვენი მონობა და შევიქნეთ ნამდვილი თავისუფალი ქართველები!

ამიტომ არ უნდა არსებობდეს პარტია პარტიისათვის. არის ერთი დიდი და მთლიანი „პარტია“ საქართველო და მას უნდა შესწიროს თავისი ცოდნა, ქონება, გამოცდილება, სიცოცხლეც კი თითოეულმა ქართველმა...

მას უნდა ეთაყვანოს თავადიც, ერიც ბერიც, მუშაც, გლეხიც!...

კმარა ქადაგება ერთმანეთის გაყვლეფისა და დაჩაგვრის შესახებ, დიაღ გაყვლეფისა და დაჩაგვრის შესახებ, ვინაიდგან დღევანდელამდე სხვა არა უქადაქებიათ რა ჩვენ „სოციალისტებს“—ამას თამამად ვამბობთ—დროა გავრცელდეს ხალხში მოძღვრებანი ილიასი და აკაკისა, ტრადიციები ძველი საქართველოისა, დროა შეიქმნას ნამდვილი ქართული სკოლა, დროა გავიდენ ხალხში ნამდვილი მქადაგებელნი ძმობა ერთობისა, დროა შესდგეს ნამდვილი ეროვნული მთავრობა, გარეშე ყოველგვარ პარტიისა და ვინც ეურჩება მას, ქართველ ერის სახელით ქედი მოახრევინოს თავისუფალ და ძლიერ საქართველოის წინაშე.

სხვა გზა არც გვწამს და ვერც ვემსახურებით, ვინაიდგან სხვა გზა კვლავ მონობას გვიქადის!...

ია ეკალაძე.

## ქართული ძალა.

სახელმწიფო ფინანსების შემდეგ, სახელმწიფო ჯარს პირველი ადგილი უკავია. ამ უკანასკნელის წესიერათ და სახელმწიფოს საჭიროებისამებრ მოგვარება მისი ერთი მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი ბურჯის გამაგრება იქნება.

რეგულიარული ძალის შექმნა ეს ერთად-ერთი ხსნაა, რომლის წინაშე ასე თუ ისე ანგარიშის გაწევა მოუხდება ყველას, როგორც გარეშე ისე შინაურ მტრებს. ეს უკანასკნელი კი ჩვენს ქვეყანას მრავლათ ახვევია, როგორც შიგნით, ისე გარეთ.

იყო დრო როცა ბევრი ურწმუნო თომა ჩვენი ქვეყნისა წინააღმდეგი იყო ასეთი ძალის შექმნის და რეგულიარული ჯარის შექმნა, ეს კონტრევოლუციის სამსახურათ მიაჩნდა, მაგრამ იმისთვის, რომ წინააღმდეგი დამტკიცებულიყო საჭირო იყო ის მწარე დღეები, ის ტანჯვა, რომელიც საქართველომ გადიტანა და რომლებიც, ღრმად ვართ დარწმუნებული, წინ ჯერ კიდევ მრავლად გვიმზადდება.

ჩვენ არ უარვყოფთ: დიდია ის სამსახური, რომელიც დღემდი საქართველოს მტრების წინააღმდეგ მომქმედმა ჩვენმა ქართულმა, არა რეგულიარულმა ძალამ გამოიჩინა, მაგრამ ნურავინ დაივიწყებს, რომ ამ შემთხვევაშიაც დიდი მნიშვნელობა ქონდა იმ რეგულიარობას, რომელიც ჩვენთვის ცნობილ კაპიტან იშხნელით იწყებოდა და გენერალ მაზნიაშვილით თავდება.

ეს დღეს, როგორც ვთქვით, ბევრ ურწმუნო თომასთვის უტყუარ ჭეშმარიტებათ იქცა და ბოლოს და ბოლოს დარწმუნდა იმაში, რომ მილიციის და რაზმების შედგენა „შესაფერ დროსათვის განსახორციელებელ დღიურ საკითხათ აქციოს“.

ჩვენმა მთავრობამ, თუმცა დაგვიანებით, მაგრამ მაინც გადადგა ამ მხრივ საჭირო პირველი ნაბიჯი და ოთხი წლის განმავლობაში დაბადებულ ახალგაზრდათა გაწვევა გვგონია უკვე სინამდვილეთ იქცეს. ხოლო საჭიროა ამ პირველ ნაბიჯს მეორეც მოყვეს. საჭიროა მობილიზაცია დროზედ და სასურველად იქნას გატარებული. საჭიროა ამ მხრივ მთელი ეროვნული ენერგიის ამოძრავება, დღე და-ღამე მუშაობა, რომ საჭირო დროს აღიმართოს ერთ-ერთი ბურჯი საქართველოს სახელმწიფოს შენობისა და ვიხილოთ არა „აფხანაკური“ არამედ რეგულიარულ საფუძვლებზე გაწვრთნილი, შეიძლება არა ისე მრავალ-რიცხოვანი, მაგრამ მაინც ქართული ძალა.

მაგრამ ქართული ძალის შედგენა მარტო ამით არ უნდა დამთავრდეს, ჩვენ ყურადღებას ამ მხრივ იპყრობს ის სამუშაითო საზოგადოებები, რომელთა საჭიროება ინსტიქტიურად იგრძნო ქართულმა საზოგადოებამ და ამ დღეებში საძირკველი ჩაეყარა საგიმნასტიკო მომზადებას რომელიც დღეს ჩვენში ზოგიერთ ცალკე პიროვნებებს თუ აინტერესებს, თორემ საერთოთ სულ არ არის არა თუ განვითარებული, არამედ ჩასახულიცკი. ხოლო იგი კი აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ჩვენი დაჩიავებული ეროვნული ორგანიზმისათვის. თუ კი მრისხანე ფრანც იოსებმა ერთ-ერთ ჩეხელ შევარდენთა ზეიმზე განცვიფრებულმა თორმეტი ათასი ჩეხის გიმნასტიური მომზადებით კეთილინება და პატარა ჩეხეთი მხოლოდ ავტონომიის ღირსად გახადა, არანაკლები მომზადება მართებს საქართველოს ქართული ძალის შექმნაში, რომ თავისი დამოუკიდებლობა შეინარჩუნოს.

L.

## მარქსისტული აზროვნების მეთოდი.

მარქსის მოძღვრება თავისი კვლევის მეთოდითაც ორიგინალურია.

მარქსიზმს, როგორც ეკონომიურ და სოციალურ მოძღვრებას ხომ განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.

იგი, მისი ადებტების აზრით, ახსნაგანმარტებაა კაცობრიობის წარსული ცხოვრების და გაითვალისწინება მომავალი საზოგადოებრივი ურთიერთობის.

ეგრეთ წოდებული „მეცნიერული“ „სოციალიზმი“, მარქსის და ენგელსის ხანგძლივი კვლევა-ძიების ნაყოფი, მიჩნეულია სოციალოგიურ მეცნიერების უკანასკნელ სიტყვათ.

აქამომდე თუ სოციალიზმი უტოპიას წარმოუდგენდა, რომელიც მხოლოთ რწმენაზე და ადამიანის კეთილ სურვილებზე ემყარებოდა- ამიერიდან სოციალისტურ, დოქტრინას საფუძვლათ ცხოვრების გზითარებით წარმოშობილი ფაქტები უდევს.

უტოპიურ სოციალისტებს სურდათ არსებულ უსამართლობის მოსპობა და სამართლიანი საზოგადოებრივი ცხოვრების დამყარება.

მეცნიერული სოციალიზმი კი იკვლევს რა კაცობრიობის მიერ განვლილ მრავალ საუკუნიან ისტორიულ ცხოვრებას, იმ დასკვნამდე მიდის, რომ იგი განსაზღრულ და გარდუვალ კანონებს ემორჩილება.

ამ კანონების ზემოქმედების ძალით დღევანდელ უვარგის ეკონომიურ-სოციალური ურთიერთობა აუცილებლათ უნდა დაუთმოს ადგილი უმჯობესს, ყოველგვარ უსწორ-მასწორობას და უხერხულობას მოკლებულს საზოგადოებრივობას.

თუ ეს ასე არ მოხდა კაცობრიობა აუცილებლათ დაიღუპება

ჩვენ აქ არ შევუდგებით მარქსის სოციალოგიური მოძღვრების განხილვას ვიტყვით მხოლოთ, რომ ყველა ზევით მოყვანილი მარქსისტული მოსაზრებანი შეიძლება ითქვას, სავსებით გაწბილებულია ცხოვრებისა და მეცნიერებისაგან.

როგორც შეუძლებელია ადამიანთა ცხოვრების შესახებ ითქვას, რომ იგი განსაზღრულ ისტორიულ კანონებს ემორჩილება, ისე ყოვლად შეუწყნარებელია იმის განჭვრეტა, თუ რა ფორმას ანუ სახეს მიიღებს მომავალში ათასგვარ შემთხვევაზე, უხილავ და შეუცნობელ ფაკტორებს და ძალებზე დამყარებული საზოგადოებრივი ცხოვრება.

დღევანდელი სოციალოგიური მეცნიერების თვალსაზრისი, კრიტიკული ხასიათის არის, როგორც კრიტიკული ხასიათის არის კანტის გენიის მიერ შექმნილი ფილოსოფიური თვალსაზრისი.

კრიტიკული თვალსაზრისით ყოველგვარი დოგმატიური აზროვნება უარყოფილია, როგორც ფილოსოფიურ აგრეთვე სოციოლოგიურ სფეროში.

ჩვენთვის საინტერესოა მოგონება იმ „მეცნიერულ“ მეთოდისა, რომლითაც ხელმძღვანელობდა მარქსი თავის მეცნიერული კვლევა-ძიების დროს. ეს მეთოდი ცნობილია დიალექტიკური მეთოდის სახელით.

მარქსისტების ხელში ეს მეთოდი ძლიერი იარაღია, რომლის საშვალებით მათ ერთობ უადვილდებათ ყოველ-გვარი ისტორიული მოვლენის თუ პარტიული მოქმედების და ტაქტიკის ახსნა.

მარქსისტებს ჩვეულებათ აქვთ დაუპირდაპირონ დიალექტიკურ მეთოდს მეტაფიზიკური მეთოდი. უმთავრესათ ენგელსს და განსვენებულ პლეხანოვს უყვარდა ეგეთი დაპირისპირება. მეტაფიზიკა მარქსისტების შეხედულებით, ეყრდნობა სამარადისო პრინციპებს, მუდმივ და უცვლელ „ჭეშმარიტებებს“.

დიალექტიკას, პირიქით, ბუნება და კაცობრიული ცხოვრება წარმოდგენილი აქვს, როგორც განუწყვეტელი პროცესი.

ამ პროცესის მიმდინარეობაში ათასგვარათ იცვლება, ბუნების და ადამიანთა ცხოვრება.

ერთი სიტყვით ძველი საბერძნეთის გამოჩენილი ფილოსოფოსის თქმის არ იყოს, დიალექტიური მეთოდი გვასწავლის, რომ „ყველაფერი მიმდინარეობს, ყველაფერი იცვლება, სიბრძნე იქცევა სიგიჟეთ და ჯოჯოხეთი ნეტარებათ“. ო.

რაც დღევანდელ პირობებში ჭეშმარიტი, კეთილი და სამართლიანია, ხვალ, შესაძლოა, უსამართლოთ და ბოროტათ იქცეს.

დღეს თუ ასე ვაზროვნებთ, ხვალ შეიძლება სრულიათ წინააღმდეგ ვიაზროვნოთ.

ეხლა თუ ამნაირია ჩემი პოლიტიკური მოქმედება და ყოფაქცევა, შემდეგისათვის დასაშვებია, რომ სულ სხვანაირი იქნება. როგორც სჩანს მარქსისტული მეთოდი, დიალექტიკური მეთოდი, მეტათ მოქნილი და ელასტიური მეთოდია.

იმის საშვალებით შეიძლება შეურიგებელის შერიგება, ყოველი წინააღმდეგობის ახსნა და გამართლება, რადგან „ის რაც მოხდა უნდა აუცილებლათ მომხდარიყო“.

ჩვენი დასელების წარსული და დღევანდელი ყოფა-ქცევაც სწორათ ამ იეზუიტური მეთოდის წყალობით თუ შეიძლება გამართლდეს, თვარა სხვა გზით შეუძლებელია მისი ახსნა და გაგება.

ავიღოთ მხოლოთ ერთი მაგალითი: როგორც ვიცით, ყველაზე უფრო დიდი მტერი საქართველოს დამოუკიდებელი არსებობისა ჩვენებური დასელები იყვნენ.

მათთვის ეს შეურყეველი ჭეშმარიტება იყო ერთ დროს. დღეს კი, მათი ამ ყოვლათ შემძლე მეთოდის შემწეობით, ისინი ამ დამოუკიდებლობის ყველაზე უფრო ერგულ მოსარჩლეთ გამოდიან. „ყველაფერი ცვალებადი და წარმავალია, ბრძენი შესაძლოა გაგიჟდეს და სამოთხე ჯოჯოხეთათ შეიცვალოს“. ამას შემდეგ, რასაკვირველია, ადვილი ასახსნელია, დასელების უპრინციპობა, მათ მიერ ასე ხშირათ აზრთა ცვალებლობა, პოლიტიკურ და სოციალ პროგრამის ძირიანათ შეტრიალება.

ამ საბედისწერო მეთოდის პარტია, ვერც კი ამჩნევს, რომ ის თან და თან კარგავს თავის პირვანდელ სახეს.

ჩვენ მალე იმის მოწამენიც ვიქნებით, რომ ის, ჩვენში, მხოლოთ მარტოთ, სახელით თუ იქნება სოციალისტური. იგი იძულებული გახდება მიიღოს სავსებით მისთანა შინაარსის პოლიტიკური სოციალური პროგრამა (თუ ჯერ კიდევ არ მიუღია სავსებით) რომელიც პირწმინდათ უარსყოფს მის მიერ აღიარებულ მოძღვრების ძირითად თვისებებს.

მაგრამ რა უყოთ. ეს ხომ მათი მეთოდით ძალიან ადვილი ასახსნელი იქნება. ამ მეთოდით ხომ არაფერი არ არის მუდმივი და ურყეველი, პირ-იქით:

„ყველაფერი იცვლება და ყველაფერი მიმდინარეობს, სიბრძნე იქცევა სისულელეთ და სამოთხე ჯოჯოხეთათ.“

ალ. თორაძე.

საჭიროა სამუშაოთა განვითარებას ხელი შეუწყოს ჩვენმა მთავრობამ. ქართულ ძალას ერთი მასაზრდოებელი წყარო გაუჩინოს, ხოლო ქართულ ჯარს კი საჭირო რეზერვი.

L.

## „ოსეთის საკითხი“

„საჩხერის ამბები“ სოციალისტურმა პრესამ და მთავრობამ თავისებურად გააშუქა და გაიგო.

საჩხერის ამბოხება ოსების მეთაურობით მოეწყო და მას ეროვნული სარჩული ჰქონდა, მაგრამ სოციალისტები დაემყარენ ოსთა მეექვსე ყრილობის რეზოლუციას, დაიხვიეს იგი ხელზე და გაიძახოდენ: „ოსეთის მხრით არავითარი ღალატი არ არის, ვინაიდან ოსთა მეექვსე ყრილობამ საქართველოში მოსახლე ოსების საქართველოსთან დარჩენა ისურვაო. სასაცილო მსჯელობაა! ოსებს, რომელთა რიცხვი 20 ათასიც არ არის, როგორ შეუძლიან არ იცნოს და არ დაექვემდებაროს საქართველოს მთავრობას?

ქართულ მიწა წყალზე ოსურ სახელმწიფოს შექმნას ხომ არ ეპირება?

მაგრამ ვიმსჯელოთ მათი თვალთა ხედვით. თუ ოსები საქართველოსთან არიან და მის ერთგულ ქვეშევრდომათ რაცხან თავს, მაშინ რას მივაწეროთ ის გარემოება, რომ ოსები ირაზმებიან? ოსების ცალკე პიროვნებანი სხვა და სხვა ადგილებში იარაღს იძენენ და სამხედრო ძალას ჰქმნიან? როგორ განვიხილოთ ის ფაქტი, რომ უკანასკნელ დროს საჩხერის ფრონტზე ოსებმა დასჭრეს ოფიცერი გოგიჩაიშვილი იმ დროს, როდესაც მთავრობის ჯარი ერთ ადგილას ბანაკობდა და ოპერაციები შეჩერებული ჰქონდა? ცნობა იყო, რომ ოსური ეროვნული საბჭო ლეგიონს ადგენს, რომლის შემწეობითაც ოსურ ბრბოს იარაღი უნდა აჰყაროსო.

არ ვიცით რა უფლება აქვს ოსურ ეროვნულ საბჭოს თავის ლეგიონით საქართველოში მოსახლე ოსებს იარაღი აჰყაროს. ეს უფლება ე. ი. საქართველოს ტერიტორიაზე ვისიმე იარაღის აყრისა ელემენტარული ჭეშმარიტებაა, რომ ეკუთვნის მხოლოდ საქართველოს მთავრობას: გარდა ამისა უცნაურობაა ისიც, რომ თუ კი საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ოსები საქართველოსთან რჩებიან, რატომ ოსეთის ეროვნულმა საბჭომ უნდა აჰყაროს მათ იარაღი და არა საქართველოს მთავრობამ. და როგორ შეიძლება ოსურ ლეგიონის ჩვენს სახელმწიფოში შედგენა? ოსურ ლეგიონების შექმნაში უთუოდ იმალება ახალი საფრთხე, რომელიც უცებ წამოჰყოფს თავს.

საქართველოს მტრები ათასგვარ შირმებს ეფარებიან და სოიცარ კომბინაცია მახინაციებით უნდათ საქართველოს თვითმყოფელობის დაცემა.

უაღრესად სამწუხაროა ის არის, რომ საქართველოს დღევანდელი საჭეთ მპყრობელნი ამას ვერ ხედვენ...

მთავრობა დიდხანს ყოყმანობდა ოსეთის საკითხში, ერთხელ ჯარის უფროს პოდპოლკოვნიკ იშხნელს კიდეც აუწყეს დედა ქალაქში რომ წითელი გვარდიას მიაშველებენ საჩხერის ფრონტს და ამ რიგად ოსების დასახლებულ ქართულ სოფლებში ოპერაციები განეგრძო, მაგრამ ახლა წითელი გვარდიის შტაბმა დაიწყო თათბირი იმის შესახებ წასულიყო განზე გამდგარ ოსების დასამორჩილებლად თუ არა...

არ ვიცით რა დაადგინეს წითელ გვარდიის შტაბში, მაგრამ ის კი ვიცით, რომ მთავრობამ საჩხერის ფრონტზე მთავარი სამხედრო ძალები მოხსნა და იქ სოფ. პერევში საზღვარისებური სადარაჯო გააკეთა, რას ნიშნავს ეს? ნუ თუ საქართველო იმდენად კნინდება და იწიწკნება, რომ სოფ. პერევში საჩხერიდან მე 17 ვერსზე საზღვარი უნდა დაწესდეს?

სამ თვეზე მეტი იდგა მთავრობის ჯარი საჩხერის ფრონტზე, ადგილობრივი მცხოვრებნიც დაიტანჯა, შეწუხდა. ჯარის ლკან გამოწვევისას ხალხი შეშინებული იყო და ამბობდა, რომ ოსები ისევ თავს დაგვესხმიანო. იქნებ ეს ასე არ მოხდეს, მაგრამ მთავრობამ მაინც საფრთხე გაიჩინა. ოსებს განზრახვა აქვთ მოემზადონ და მოხერხებულ დროს თავის ბნელ ზრახვის განაღდებას შეუდგენ.

ოსების მექვსე ყრილობის ფიცი ერთია, მათი მარაგი პარტიული საქმიანობა მეორე.

შეიარაღებული და დღეს იარაღის მძებნელი ოსები საქართველოს ნამდვილი მტრები არიან და მათი თავისუფლად გაშვება საშვილიშვილო ბოროტება, ღალატია სამშობლოს წინაშე!

ქართველებით დასახლებულ სოფლებს სჯიან აჯანყებისათვის, იარაღს ჰყრიან და რატომ ოსებს არ ექცევიან ასე?

არ—დი.

## პრესა.

გაზეთი „ერთობა“ სწერს:

„დემოკრატიულ სახელმწიფოში ესა თუ ის თანამდებობა მოქალაქის მოვალეობას შეადგენს და ამიტომ საუკეთესო ჯილდოთ უნდა ჩაითვალოს თავისთავად ამ მოვალეობის პირნათლათ ასრულება.

ჩვენ არ მოგვეპოება შესაფერი პოლიტიკური და მოქალაქობრივი აღზრდა და ამიტომ გარეგნული ჯილდოც დიდხანს იქნება საჭირო თანამდებობის ამა თუ იმ ამსრულებლისათვის.

მაგრამ დაჯილდოების ის წესი, რომელმაც ჩვენი სამხედრო სამინისტროს პრაქტიკაში მოიკიდა ფეხი, არც ერთის თვალსაზრისით არ არის დასაშვები.

ერთის მხრით, ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია, როგორ შეიძლება საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე—სამხედრო პირი დაჯილდოვებულ იქნას რუსული ორდენით, მას შემდეგ, როცა ჩვენ რუსეთს ჩამოვშორდით და ცალკე დამოუკიდებელი ერთეული შევქმენით. ასეთია საქმის ფორმალური მხარე. არსებითად კი საყურადღებოა ის, რომ იმ დროს, როცა ხაზინა ასე გაჭირვებულია, ჩვენი სამხედრო მინისტრი ორდენებით აჯილდოებს სხვადასხვა პირებს, რაც ეჭვი არაა, დიდ ხარჯებს მოითხოვს.

მეორე მხრით არ შეიძლება ნორმალურათ ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ჩინ-ორდენებით აჯილდოებენ შინაურ არეულობის ჩამქრობთ. და რაც უფრო საყურადღებოა, ეს დაჯილდოება ძალიან გახშირდა.

ჩვენ რასაკვირველია არ უარვყოფთ, რომ შინაური არეულობა არ წამოადგენს ნაკლებ საშიშროებას, ვინემ გარეშე მტრის შემოსევა, მაგრამ ამ საკითხის ასე მარტივათ გადაწყვეტა მაინც არ უნდა ეკისრა სამხედრო სამინისტროს: ჩვენის ფიქრით საფუძვლიანობას მოკლებული არ იყო ჩვეულება, რომლის ძალით აჯილდოებდენ მხოლოდ გარეშე მტრებთან ბრძოლის მონაწილეთ-გარდა ამისა, პოეტისა არ იყოს როცა ორდენებით დაჯილდოება, გახშირდა ის დაჰკარგავს თავის მნიშვნელობას. ხოლო სამხედრო ხარისხების ასე უხვად დარიგება გაამრავლებს წარჩინებულ აფიცერთა რიცხვს, რაც ხაზინას ძვირათ დაუჯდება. და ეს იმ დროს, როცა ჩვენ თითქმის სავსებით არა გვყავს ჯარი.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ გარემოებას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს და სამხედრო პირთა დაჯილდოება ერთგვარ ნორმალურ კალაპოტში იქნას ჩაყენებული.“

ეს მხარე სწორეთ რომ დასნეულებული მხარეა ჩვენი ახლად ფეხადგმულ, რესპუბლიკის. გაზეთის აზრი ამ საკითხის შესახებ სამართლიანია. სნეულ ადგილს დროზე უნდა დაედოს საჭირო მალამო და ამდენ „პროიზვოდსტვო“—„პრედსტავლენიებს“ სათანადო ყურადღება მიექცეს.

# საქართველო.

## მთავრობის მოქმედება.

— საგანგებო საქმეთა მინისტრმა მთავრობას წარუდგინა დასამტკიცებლად სამინისტროს შტატის და ხარჯით აღრიცხვა 700 200 მან.

— წინამძღვარიანთ სკოლის შესანახავად მიწათმოქმედების სამინისტრო ითხოვს ეროვნულ საბჭოსაგან 31,000 მან.

— წინამძღვარიანთ-კარის სასწავლებელი. მთავრობამ გადასწყვიტა: წარედგინოს ეროვნული საბჭოს კანონ-პროექტი, რათა წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სკოლა აღიარებულ იქნეს სახელმწიფო სკოლად, რომლის ხარჯების დასაფარავად გადაიდვას სახელმწიფო ხაზინიდან ოცდა თერთმეტი ათასი მან.

— გზათა მინისტრის განკარგულებით სათბობ მასალის გამოლევის გამო დღეიდან დროებით შესწყვეტენ მოძრაობას ყველა მიმართულების სამგზავრო მატარებლები, გარდა საფოსტო მატარებლებისა №№ 3 და 4, და მათთან შეთანხმებით წვრილ მატარებლების რკინის გზის ტოტები. გზაში მყოფი მატარებლები საბოლოო პუნქტამდის მიდიან. მე-3, მე-4 მე-7 და მე 8 ნომერი მატარებლები იმოძრავებენ სალოლისაკენ. ვინაიდან ადერბეიჯანის რკინის გზის სათბობს ხმარობენ გთხოვთ დაუყონებლივ გამოაკრათ განცხადებები მგზავრთა საყურადღებოდ.

— საგანგებო საქმეთა გამომძიებელმა თხოვნით მიმართა ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარეს მიაწოდოს მას ეროვნულ საბჭოს ის სხდომების სტენოგრაფიული ანგარიში, რომელზედაც განხილულ იქნა შეკითხვა გამომძიებლათ დატუსაღებულთა დახვრეტის შესახებ და აგრეთვე იმ პირთა სია და მისამართი, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს შეკითხვის გარშემო გამართულ კამათში.

გამომძიებელი სთხოვს აგრეთვე დაასახელონ ბეჭვდითი სიტყვის ორგანოები, რომელთაც შეუძლიანთ ფაქტიური მასალის მოწოდება რუსაძისა და სხვათა მკვლელობის შესახებ.

## ტყიბულის მაღაროებში.

— ტყიბულის მაღაროებში მუშების გაფიცვა ეკონომიურ ნიადაგზე აგვისტოს 20-ს დაიწყო. მუშები მოითხოვდნენ შრომის ფასის 100% მომატებას: მაღაროებში მომუშავეებს უნდა მისცემოდა 8 საათის სამუშაო დღეში დიდებს 24 მან. ბავშვებს 18 მან. დამჭედავებს 30 მან. მაღაროების ზევით მომუშავეებს დიდებს 30 მან. ბავშვებს 16 მან. და დამჭედავებს 24 მან. ამას გარდა მუშები მოითხოვდნენ რომ მთავრობას მიეწოდება პური 2 აბაზად გირვანქა, საპონი 17 შაურად და სამუშაო მასალაც უკლებლივ მიეწოდებინა დროზე. ტყიბულში როგორც ვიცით გაემგზავრა შრომის მინისტრის თანაშემწე ესაძე. მუშებმა მხოლოდ ერთი მუხლი დაუთმეს: მომატებული ფასი მიეცეს მათ აგვისტოს პირველიდან და არა ივლისის პირველიდან (როგორც წინად მოითხოვდენ).

# უცხოეთი.

## რუსეთი.

— სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა რომ ყველას შეუძლია უნივერსიტეტებში შევიდენ მსმენელებათ თუ მათ შესრულებული ექნება დაბადებიდან 15 წელი. დიპლომისა და სასწავლებლის გათავების მოწმობის წარდგენა საჭირო არ არის, საჭიროა მხოლოდ პიროვნების და წლოვანების მოწმობები. უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის ქირა არავის გადახდება. სახალხო განათლების კომისარს ებრძანა, რომ იმ შემთხვევაში თუ მსურველთა რიცხვი ვაკანსიას აღემატოს გამონახოს საშვალება, რათა უნივერსიტეტში ყველა მოხდეს. პირველ რიგში უნდა მიღებულ იქმნან მსმენელები პროლეტარები და უღარიბესი გლეხების წრეებიდან.

— კიევში მიღებული ცნობების თანახმათ მოკავშირე სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა რუსეთში შეიმუშავეს გეგმა სამხედრო ოპერაციისა. ამ გეგმის თანახმათ ინგლისი ხელთ ჩაიგდებს მურმანის ყველა რკინის გზებს. ალექსანდროვსკში იქნება დასმული ახალი წერტილი. იქედან ინგლისელები გაილაშქრებენ ფინეთისაკენ და მოსკოვისაკენ. გალაშქრება მოხდება აღმოსავლეთით დასავლეთით კი ინგლისი ეცდება რუსეთის ქორელს, ვოლის ნახევარ კუნძულს და ოლონეცკის გუბერნიას მიანიჭოს დამოუკიდებლობა თავის პროტექტორატის ქვეშ. მეორე მხრით ინგლისი ზომებს მიიღებს, რომ ნორვეგიასთან კუნძულების შეძენის შემდეგ ხიდი გაიყვანოს სკანდინავიაში, შეუერთოს რუსეთი ინგლისს და გერმანეთს ჩრდილოეთით გზა მოუჭრას.

## კავკასი.

22 აგვისტოს კავკაში დასრულდა „თერგის ოლქის მშრომელ ხალხთა ყრილობა“. ყაზახები ყრილობაზე მონაწილეობას არ ღებულობდენ. ოსების მხრივ ცოტა დაესწრო. უმეტესობას ყრილობაზე წარმოადგინდენ ინგუშები ჩეჩნები. ყრილობაზე გავიდა მემარცხენე კომუნისტთა რეზოლუცია, რომ ამ მხარეში დაამყარონ საბჭოთა მთავრობა. ზომიერ ბოლშევიკებმა და მემარცხენე ესერებმა მთავრობაში შესვლაზე უარი განაცხადეს მთავრობის თავმჯდომარეთ აირჩიეს ბულლიჩ, კავკაში დანგრეულა 151 სახლამდის. მცხოვრებლები ტერორ ქვეშ იმყოფებიან.

## ერევნის ოკუპაცია.

ერევნიდან იტყობინებიან, რომ იქ მცხოვრებლები შეშფოთებულნი არიან გავრცელებული ხმებით—ოსმალეთს პრინციპიალურად გადაწყვეტილი აქვს ერევნის დროებით ოკუპაცია მოახდინოს, რადგან ახლო მომავალში მოსალოდნელია კავკასიის ფრონტზე ოპერაციების დაწყებაო. ამ ხმებით შეშფოთებულნი არიან არა თუ სომხები არამედ რუსებიც, რომელნიც შუამდგომლობენ რუსთა ეროვნულ საბჭოს წინაშე ნება დართონ მათ რუსეთში გამგზავრებისა

## ციმბირი.

### იაპონია და ჩეხო-სლოვაკები.

„ფოსიშე ცაიტუნგი“ იუწყება, რომ იაპონიის ჯარის ავანგარდი უკვე შეუერთდა ჩეხო-სლოვაკებს. ბოლშევიკური ნაწილები იხევენ დასავლეთისაკენ.

### სესხი ციმბირის მთავრობას.

შეთანხმების სახელმწიფოებმა მისცეს ციმბირის მთავრობას სესხი 100 მილ. მან. ჩეხო-სლოვაკებს ცალკე აძლევენ დახმარებას ფულით.

# ახალი ამბავი

### ქუთაისი

ალლუმი. საჩხერედან დაბრუნებულმა ჩვენმა ჯარმა საკრებულო ტაძრის მოედანზე გუშინ ალლუმი გამართა. ალლუმს ხელმძღვანელობდა მე 4-ხე ბატარეის უფროსი პოდკ. იშხნელი. ალლუმს მიესალმა გენ. ართმელაძე, მან მადლობა გამოუცხადა სახელოვან ჯარს სამშობლოსათვის თავდადებულ სამსახურისათვის.

✦ ცაგერი. (დეპეში)ბრბო თავს დაესხა

ჩვენს რაზმს და სროლა აუტეხა. სროლის დროს ჩვენის მხრით ერთი დასჭრეს და ერთიც მოგვიკლეს. რაზმმა ბრბო სასწრაფოთ გაფანტა.

✦ სამეგრელოს ბრბოების მოქმედების შესახებ დღეს არავითარი ცნობები არ მოგვსვლია.

✦ **სასურსათო განყოფილება.** ქალაქის საბჭომ დაადგინა, რადგან სასურსათო საქმე ქალაქის ხელში გადავიდა, ამიტომ ამორჩეულ იქმნას კიდევ ერთი გამგეობის წევრი. სასურსათო განყოფილების გამგეთ. დანიშნულ იქმნა ნ. საყვარელიძე.

✦ **ქალაქთა კავშირების ყრილობაზე.** ენკენისთვეს 5—ს ქალ. თფილისში დანიშნულია ამიერ-კავკასიის ქალაქთა კავშირის ყრილობა. ამ ყრილობაზე დასასწრებლათ ქალაქის საბჭომ აირჩია სამი წარმომადგენელი: ქალაქის თავი დ. კალანდარაშვილი, ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე ალ. ი. ჯაფარიძე და ხმოსანი ტრ. ხუნდაძე.

✦ ს. **ჯიმაშტარო ქალაქის საზღვრებში ჩარიცხვის შესახებ.** ქალაქის საბჭომ განიხილა სოფ. ჯიმაშტაროს მცხოვრებლების თხოვნა, შესახებ მათი სოფლის ქალაქის საზღვრებში ჩარიცხვისა და დაადგინა, რომ ეს სოფელი არ იქნეს ქალაქის საზღვრებში ჩარიცხული.

✦ **ხოლერა.** გუშინ ხოლერის ნიშნებით ავათ არავინ გამხდარა.

✦ **პაის შეძენა.** ქალაქის საბჭომ აგვისტოს 27-ს სხდომაზე განიხილა მამისონის საუღელტეხილო რკინის გზის გაყვანის საკითხი და დაადგინა შეიძინოს არა ნაკლები 5 პაისა.

✦ საკითხის **გადადება**- ქალაქის საბჭოს თავის უკანასკნელ სხდომაზე უნდა განეხილა თ. კვიცარიძის თხოვნა შესახებ კიოსკის გახსნისა, მაგრამ ამ საკითხის გარჩევა საბჭომ შემდეგ სხდომისათვის გადადვა.

✦ **ქალაქის თეატრი.** ამას წინეთ არჩეულ იქნა ქალაქის საბჭოს მიერ საგანგებო სათეატრო კომისია, რომელსაც დაევალა გამოკვლევა ქალაქის თეატრის მდგომარეობისა.

კომისია გაეცნო თეატრის მდგომარეობას და 24 აგვისტოს ქალაქის საბჭოს წარუდგინა მოხსენება. მოხსენება შეეხებოდა თეატრის ქალაქის ხელში გადასვლას და ქართულ წარმოდგენებზე გადასახადის მომატებას. ქალაქის საბჭომ ეს მოხსენება მიიღო და თეატრი გამგეობას გადასცა.

✦ **სომეხ-ლტოლვილთა ქუთაისის კომიტეტი** აცნობებს სომეხ-ლტოლვილების რეგისტრაციის მოსახდენათ და დახმარების აღმოსაჩენათ გამოცხადდენ სომეხთა სკოლაში, რომელიც, იმყოფება სომეხთა ეკლესიის გვერდით.

სომეხთა კომიტეტი სთხოვს იმ პირთ, რომელნიც ნახავენ სომხის ობოლ ბავშებს, გაგზავნონ ისინი ხსენებულ კომიტეტში. კომიტეტის წევრები მთხოვნელებს ღებულობენ ყოველ დღე 4 დან 6 საათამდის.

## პატარა ფელეტონი

**„კონტრრევოლუცა“.**

ლინგვისტიკას ჯერ გამორკვეული არა აქვს რას ნიშნავს სიტყვა „კონტრევოლუცია“.

რევოლუციამდის კი ეს სიტყვა არავის გაეგონა.

რუსეთიდან ქართველ სოციალისტებს სთხოვდენ, რომ ამ სიტყვის მნიშვნელობა განემარტათ.

და ეს ჩვენებურმა სოციალისტებმა კიდეც შესძლეს.

დღეს საქართველოში სამი წლის ბალღმაც კი იცის რა არის „კონტრევოლუცია“.

ამ სიტყვის გამოკვლევაში განუსაზღვრელი ღვაწლი მიუძღვით ჩვენებურ ეს-დეკებს და ეს-ფერებს.

„მდგომარეობამ შექმნა შეგნება“

უწინ ეს ორი სხვადასხვა ჯურის ხალხი „კონტრრევოლუციონერებს“ ერთმანეთს უწოდებდენ.

მაგრამ იმ კონფერენციაზე, რომელსაც დაესწრო 150,000 დეპუტატი ეს დეკებისა და 100,000 ეს-ფერებისა ბოლო მოუღლო კაცობრიობის შეუგნებლობას და სიტყვა „კონტრრევოლუციას„ მისცეს თავისი სახე.

როგორც გადმოგვცემენ ეს კონფერენცია გამოიწვია შემდეგმა გარემოებამ:—

როდესაც ს.-დემოკრატებმა განიზრახეს ს.-ფედერალისტებზე ჯვარის გადაწერა რაც აუცილებელი იყო რევოლუციის გაღრმავებისა და ცეცხლის წაკიდებისათვის, საქართველოს საკათალიკოსო საბჭოს და სასამართლოს დებულების თანახმათ საჭირო იყო მეფე-დედოფალის თანხმობა, წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოში მყოფი არც ერთი მღვდელი მათ ჯვარს არ გადასწერდა.

ამ გარემოებას ძალაუნებურათ ანგარიში გაუწიეს, ერთხელ სამკვდრო სიცოცხლოთ გადაკიდებულმა ეს-ფერებმა და ეს-დეკებმა, რომ შესათანხმებელი გზა გამოენახათ.

კონფერენცია „მარსში“ მოიწვიეს, რომელიც „над Ріоном“ იმყოფება.

კონფერენციაზე წითელი სიტყვები წარმოითქვა, რომელსაც წითელი ცეცხლი ეკიდებოდა.

მდგომარეობა გამწვავდა—...

ეს-დეკები ამტკიცებდენ, რომ ვინც მათ პარტიაში არ არის ჩაწერილი, ყველა „კონტრევოლუციონერია“.

ეს ფერები კი თავის სასარგებლოდ ამტკიცებდენ.

ასტყდა ჩხუბი. დეპუტატები ორ ნაწილად გაიყო. გამოხსნეს წითელი, წითელი ღვინით ავსილი ბოთლები და ერთმანეთს დაუშინეს.

ამოვარდა წითელი შადრევანი. ყველაფერი წითლად შეიღება...

გაზავებისას ტრიბუნაზე ავიდა ვინმე სოციალისტი, თმოსანი და წარმოსთქვა გრძნეული სიტყვა:—

ამხანაგებო და მოპირდაპირენო!

თქვენ გავიწყდებათ მიზანი კონფერენციისა. ჯვარის წერა, რომელიც უნდა მოხდეს დღეს ან ხვალ დაყოვნებას არ ითხოვს. ჩვენ უნდა გამოვაცხადოთ თანხმობა რომ ეს ფერებს და ეს-დეკების შეუღლება მოხერხდეს.

დღეიდან „კონტრევოლუციონერი“ არ უნდა ეწოდოს არც ეს-ფერებს და არც ეს-დეკებს. საკითხი გამორკვეულია წინადადებას ვიძლევი რომ დღეიდან ჩვენში მხოლოდ ეროვნულ დემოკრატები დავსახოთ კონტრრევოლუციონერებათ. კმარა რაც სისხლი დაიღვარა. ეს სამართლიანიც იქნება, რაც სამართლიანია ის კარგია და რაც კარგია ის ჩვენი გაკეთებულია.

ორატორის სიტყვა დეპუტატთა კრებულმა ტაშით დააჯილდოვა.

შეთანხმების შემდეგ ეს-დეკების და ეს-ფერების დეპუტატები ჯვარისწერ ტანისამოსში გამოეწყვნენ, ავტომობილებს დაუძახეს და ჯვრის გადასაწერათ რიგ რიგათ მუშათა საბჭოსაკენ გაეშურენ.

დიდია შედეგი მათი მოღვაწეობისა და მათი სახელი ჩემ მიერ შედგენილ ისტორიის ფურცლებზე წარუშლელი იქნება.

**ისკანდერ ბეგ.**

## ქალაქის სამკითხველო.

(ქუთ. ქალ. გ. გამგეობის საყურადღებოთ).

ქალაქის სამკითხველო ერთად-ერთი კულტურული დაწესებულებაა, სადაც ახალგაზრდობას ეძლევა საშუალება მეცნიერებას დაეწაფოს და ცოტათ თუ ბევრათ გაერკვიოს დღევანდელ პოლიტიკურ მდგომარეობაში. ამისათვის ქალაქის გამგეობა ვალდებულია ამ დაწესებულებას მეტი ყურადღებით მოექცეს. უმთავრეს ნაკლათ სამკითხველოს უნდა ჩაეთვალოს ის, რომ სამკითხველოდან ბევრი ძვირფასი წიგნი გაუტანიათ და დაბრუნებაზე არავინ ფიქრობს.

ასეთ ბოროტ-მოქმედების წინააღმდეგ მიღებული უნდა იქნეს სასტიკი ზომები და ბოროტება ძირში უნდა აღმოიფხვრეს. სამკითხველოში ვერც ჟურნალ-გაზეთები მოდის თავის დროზე, რასაც ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოს მან, ვის მოვალეობასაც ეს შეადგენს.

ახლა განუზრახავთ სამკითხველოს ახალ ბინაზე, რიჟინაშვილის სახლში, საკათედრო ტაძრის პირდაპირ, გადატანა. ამის წინააღმდეგ არავის არაფერი ეთქმის, რომ ამ „გადატანას“ არ მოყოლოდა სამკითხველოს თვეობით დაკეტა. როგორ შეიძლება გადატანის გამო სამკითხველოს დაკეტა, და მკითხველებისთვის საშუალების წართმევა, ესარგებლებიათ წიგნებით თუ არა „ყოველ-შემთხვევაში ჟურნალ გაზეთებით მაინც. დემოკრატიული ქალაქის გამგეობამ ამას მაინც მიაქციოს ყურადღება, რომ ეს გადატანის „პროცესი“ რაც შეიძლება მალე დამთავრდეს, თორემ ჩვენ ვიცით წარსულიდან, რომ უბრალო მიზეზების გამო სამკითხველო თვეელი კვირაობით იყო დახურული.

**მკითხველი.**

## კორესპონდენცია.

**ოკრიბიდან.** ძარცვა გლეჯამ ოკრიბის სოფლებშიდაც მიიღო სისტემატიური ხასიათი. ბოროტ-გამზრახველები თავს ესხმიან შეძლებულ გლეხებს და იტაცებენ ყველაფერს რაც კი მოეწონებათ. ეს ავაზაკები განსაკუთრებით ფულს დაეძებენ, მაგრამ ფულსაც გარჩევა ჰქონია- ეს ავაზაკები უპირატესობას, „ნიკოლოზის“ და „კერენსკის“ ფულს აქცევენ ყურადღებას და პირველათ ამ ფულს თხოულობენ. ყოველ შემთხვევაში არც ბონებს იწუნებენ. მაგრამ როდესაც ვისმეს თავს დაეცემიან პირველად აიძულებენ, რომ „ნიკოლოზის“ და „კერენსკის“ ფული გამოაჩინონ. იყო შემთხვევები როდესაც გლეხებს ფული არ აღმოაჩნდათ, ავაზაკებმა სცემეს და რამდენიმე წევრი ოჯახისა კიდეც დასჭრეს. მთავრობა არსათ სჩანს, რომ ამ ავაზაკებს ყურადღება მიაქციოს და აღკვეთოს და თუ დროზე არ ექნა ამ გარემოებას ყურადღება მიქცეული ისედაც გაღატაკებული სოფლები კიდევ უფრო დაზარალდება და ცხოვრება გასჭირდება. ამ შემთხვევაში სოფლის ადმინისტრაციამ და თვით საზოგადოებამ უნდა გამოიღოს ხელი და ეს ბოროტი პირები, რომელნიც მხოლოდ ყაჩაღობით და ავაზაკობით სცხოვრობენ სამუდამოთ აღაგმონ.

— სურსათის ნაკლულობამ და უფრო უსურსათობამ მწვავე ხასიათი მიიღო. არსათ არ მოიპოვება სიმინდი საყიდლათ. დამშეული გლეხები ვაშლითა და სხლით იკვებებიან, რის გამოც მოსალოდნელია ათას გვარი ავათმყოფობა.

სიმინდის ყანებს კარგი თვალი უჩანდა, მაგრამ ამ უკანასკნელ დღეებში გამუდმებულმა წვიმებმა ხელი შეუშალა და მეტად დააზიანა. ამ ჟამად კარგი ამიდები სდგას და თუ გამუდმებული წვიმა კიდევ არ გვეწვია დაზიანებული ყანები გამოკეთდება და საშუალო მოსავალი მაინც იქნება.

ოკრიბის შემოსავლის წყაროთ ხილი ითვლებოდა, ეს ხილი გაჰქონდა სხვა და სხვა ქალაქებში და უფრო კი საზღვარგარეთ, რაც გლეხობას დიდ შეღავათს აძლევდა, მაგრამ წელს რადგანაც რკინის გზის მიმოსვლა წესიერად არ სწარმოებს, ხილს ბაზარი დაეკარგა და ოკრიბელი გლეხობაც უმწეო მდგომარეობაში ჩავარდა.

ერობის არჩევნები, როგორც ამას წინათაც აღვნიშნეთ სხვა უფრო მოსახერხებელი დროისათვის გადაიდო. იმ დროში მართლაც არ შეიძლებოდა რომ ამ სათიბში არჩევნები მომხდარიყო, მაგრამ ხლა როდესაც ბოლშევიკური მოძრაობა დაწყნარებულია არჩევნების გადადება ყოვლად შეუწყნარებელია.

გლეხები მოითხოვს რომ არჩევნები დაუყონებლივ მოხდეს. გლეხების სულიერი განწყობილება შეიცვალა. უწინ თუ ათასგვარი დაპირებებით სოციალისტური პარტიები მათ იმხრობდენ, ეხლა გლეხებს, ვეღარავინ მოატყუილებს. ისინი აშკარად გაიძახიან: „ჩვენ ოდონდ ძლიერი მთავრობა დავინახოთ, ჩვენსას ნურავინ წაგვართმევს და სხვისი დანაპირები არაფერი გვინდა“.

სოციალისტური მოძრაობის ხანა, როგორც სოფლების ... განწყობილებას ეტყობა, უკვე ისტორიის ჩაბარდა და გლეხებიც რეალურ გზას დაადგა რომლითაც შეიძლება სოფლის გაბოჟრუნება და საერთოთ მაელი სახელმწიფოს აღმაშენებლობა.

საჭიროა მთავრობამ აღარ დააყოვნოს და ერობის არჩევნები ამ რაიონში დაუყონებლივ დანიშნოს.

**ნ. ხორჩნელი.**

### ქვიტირის ქუჩიდან.

სამშაბათს 14 მარიამობისთვეს (ძველი სტილით) ქვიტირის ქუჩის თეატრში გაიმართა წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნა 1 მოქ. დრამა „ლოთი კაცის ოჯახი“ სიმელისა, 1 მოქ, კომედია „ხოსიას დელფ“-ა. ჩეხოვის. (გადმოკეთებული რუსულიდან ქართულად ზარდალიშვილის მიერ) და ცოცხალი სურათები.

წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღო იმავე ქუჩის ახალგაზდა სცენის მოყვარეებმა. წარმოდგენა კარგად ჩატარდა. სცენის მოყვარეებმა ნაკისრი როლები ჩინებულად შეასრულეს. ხალხი ბლომად დაესწრო და ნასიამოვნები დაიშალა.

— ქვიტირის ქუჩის ახალგაზდობა დიდ აქტივობას იჩენს. ყოველ ახალ დადგმულ პიესას აღფრთოვანებით ეგებება და თავის მოვალეობას ღირსეულად ასრულებენ. მხოლოდ უნდა აღინიშნოს ისა, რომ ქუთაისის დრამატიული საზოგადოება არაფერ ყურადღებას არ აქცევს იმ მხრივ, რომ პიესებს არ აწვდის, რითაც სცენის მოყვარენი დიდ კრიზისს განიცდიან.

**ა. ბაში.ლი.**

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო! გთხოვთ თქვენი გაზეთის უახლოეს ნომერში გამოაცხადოთ, რომ ქალაქის სასურსათო კომიტეტის საწყობებთან არავითარი კავშირი არ აქვს დაკარგულ შაქარს, რომელზედაც გაზეთების შეკითხვის გარდა კერძო შეკითხვებიც მომდის.

პატივისცემით ალ. რომ.. ჯაფარიძე.

28 მარიამობისთე 1618 წ.

ქ. ქუთაისი.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.

## მატარებელთა საზაფხულო მიმოსვლა.

1918 წ. 10 მარიამობისთვიდან

საათები ნაჩვენებია ადგილობრივი დროით

**ქ. ქუთაისს მოდის.**

თბილისიდან.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პირდაპირი | № 9 | დილის | 5 საათ. | 30 წ. |
| საფოსტო | — 3 | დღის | 8 — | 30 — |
| სამგზავრო | — 23 | საღამოს | 8 — | 10 — |

**ფოთ ბათომიდან.**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სამგზავრო | № 24 | დღის | 2 საათ. | 20 წ. |
| საფოსტო | — 3 | ღამის | 10 — | 18 — |

**ტყიბულიდან.**

საფოსტო № 3 დილის 8 საათ. და 15 წ.

**ქუთაისიდან გადის.**

თფილისისაკენ.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პირდაპირი | № 10 | საღამოს | 8 საათ. | 25 წ. |
| სამგზავრო | - 24 | ღამის | 12 — | 40 — |
| საფოსტო | 4 | დილის | 8 — | 45 — |

**ფოთ-ბათუმისკენ.**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| საფოსტო | № 3 | დილის | 7 საათ. | 10 წ. |
| სამგზავრო | — 23 | საღამოს | 6 — | 40 — |

**ტყიბულისკენ.**

საფოსტო № 4 დღის 4 საათ. — —

სტამბა „ძმობა“ პუშკინის ქუჩა გოკიელოვის სახლი, ქუთაისში.